მეორე საერთაშორისო მატჩი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 22 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) – “ატლეტიკ პორტუგეზა” (რიო–დე–ჟანეირო) – 2:2 (1:1).

“ატლეტიკ პორტუგეზა” – ანტონინინო და–სილვა, არაოლდო დიასი, სიკარინო მიგელი, ელბა შევიერი, ენრიკე დოს–სანტოსი, მარიო ფარია, ჟორჟ და–ლილვა, პირიკლეს დე–ანდრადე, ჟორჟ გილერმე და–სილვა, რენატო სოკოდატო, ფრანსისკო სესარ დე–მორაესი.

“დინამო” – პირაევი, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, ღოღობერიძე, ჭკუასელი, გაგნიძე, კალოევი, ზაზროშვილი (იამანიძე), მესხი.

მსაჯი: ჯ. ვერნარდო (იტალია).

ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ, რომელიც წინ უძღოდა მატჩს, ბრაზილიელმა სპორტსმენებმა ხელი გადახვიეს ქართველ ფეხბურთელებს და მათთან ერთად გადაიღეს ჯგუფური სურათი. ეს მომენტი შესანიშნავად გამოხატავდა იმ გულთბილ, მეგობრულ ვითარებას, რომელშიც ჩატარდა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში რიო–დე–ჟანეიროსა და თბილისის გუნდებს შორის.

“დინამომ” სწორი ტაქტიკა აირჩია. უმაღლესი ინდივიდუალური ტექნიკის მქონე ფეხბურთელთაგან შემდგარ გუნდთან საჭირო იყო თამაში სწრაფ ტემპში, სრული ფიზიკური დატვირთვით, მოთამაშეთა ფართო მანევრებით. საჭირო იყო თამაშის წარმართვა საკუთარი გეგმის მიხედვით. შეტევაში გადამწყვეტი იყო ფლანგური იერიშები, ხოლო დაცვაში – მოწინააღმდეგე თავდამსხმელთა პერსონალური, მჭიდრო აყვანა, რათა “ჟონგლიორებს” ბურთის თავისუფლად დამუშავების საშუალება არა ჰქონოდათ.

თბილისელებმა დასაწყისიდანვე შეძლეს თავისი ამოცანის შესრულება. “ატლეტიკ პორტუგეზას” დაცვა აშკარად ჩამორჩებოდა “დინამოს” თავდასხმას სისწრაფეში, მოედანზე ორიენტირებაში და ინდივიდუალურ ბრძოლაშიც კი. სტუმართა მცველები მინდორზე განლაგებული იყვნენ ჯაჭვის სახით 4–5 მოთამაშის შემადგენლობით. ისინი თამაშობდნენ ზონალური პრინციპით, ყოველი მათგანი დარაჯობდა თავის ზონაში შემოსულ მოწინააღმდეგეს და მასთან ბრძოლაში პირისპირ ებმებოდა შეტევის ბოლო ფაზაში. მანამდე კი მცველები სრული შემადგენლობით იხევდნენ უკან კარისაკენ.

მკვეთრად გამოსახული საშტატო განაწილება “ატლეტიკ პორტუგეზას” არც თავდასხმაში ჰქონდა. აქაც 4 მოთამაშე მოქმედებდა ისე, რომ არც ერთ მათგანს არ ეკავა ცენტრალური თავდამსხმელის ადგილი. №6 და №10 მოთამაშეები წარმოადგენდნენ დაცვისა და თავდასხმის შემაერთებელ რგოლს.

დინამოელთა უპირატესობა მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში აშკარა იყო. თითქმის ყოველი მათი იერიში სახიფათო მომენტით მთავრდებოდა და თუმცა ბრაზილიელები ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ, რათა თბილისელებს კარში არ დაერტყათ, ასეთი შესაძლებლობა მრავლად იქმნებოდა.

ძლიერად თამაშობდა თავდასხმაში კალოევი, რომელსაც მაღალი ბურთებისათვის ბრძოლაში კონკურენტი არა ჰყავდა. რამდენჯერმე “შეაშფოთა” სტუმართა დაცვის რიგები გაგნიძის სწრაფმა გარღვევებმა, პროდუქტიული, აზრიანი იყო კოტრიკაძე–ღოღობერიძის თამაში. საიმედოდ ეკავათ მოწინააღმდეგეები მცველებს. მაინც საერთო ანსამბლიდან მკვეთრად გამოირჩეოდა მესხი. მის ცრუ მოძრაობებსა და დრიბლინგს ვერაფერი გაუგო დიასმა, რომელიც დინამოელთან ყოველი შეხვედრის შემდეგ მის ზურგს უკან რჩებოდა. აღსანიშნავია ერთი დეტალიც: მოსკოვის “დინამოსთან” თამაშში ბრაზილიელებს არც ერთი ჯარიმა არ დაუშვიათ თავისი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს. მესხის, კალოევის, ღოღობერიძისა და ზაზროშვილის წინააღმდეგ კი ისინი იძულებული იყვნენ (მართალია, მეტად თავაზიანად, ყოველგვარი უხეშობის გარეშე) გამოეყენებინათ სხვადასხვა აკრძალული ხერხები.

ყოველივე ამის მიუხედავად პირველი გოლი “დინამოს” კარში იქნა გატანილი. ჟორჟ და–სილვამ მარჯვნიდან ჩააწოდა ბურთი კართან. პირაევმა და მცველებმა საკმაოდ გულგრილად გაუშვეს იგი დე–მორაესთან, რომელმაც ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში – 1:0.

გოლს გოლი მოჰყვა – გაგნიძემ, ზაზროშვილმა და მესხმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და კალოევმა ძლიერად დარტყმული ბურთი გაგზავნა დაბალ კუთხეში – 1:1.

ტაიმის დასასრულამდე დინამოელებმა მწვავე იერიშების მთელი სერია ჩაატარეს, მოწოდებული იქნა რამდენიმე კუთხური საჯარიმო, მრავლად იქმნებოდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენის შემთხვევებშიც თბილისელები კარგავდნენ ბურთებს. ბრაზილიელი

ფეხბურთელები უკიდურესად მწვავე მომენტებშიც კი ყოველგვარი პანიკისა და არეულობის გარეშე იცავდნენ თავის კარს.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა ისევ შეტევით დაიწყეს. კიდევ უფრო აქტიურად ებმებოდა თავდასხმაში ღოღობერიძე, ყოველ მიღებულ ბურთს კართან გასვლით ამთავრებდა მესხი.

რამდენიმე დაკარგული შესაძლებლობის შემდეგ მესხმა ზედიზედ მოატყუა მცველები და კარის წინ გაუგორა ბურთი კალოევს, ანგარიში გახდა 2:1.

და სწორედ მაშინ, როცა მაყურებლები "დინამოს" ახალ წარმატებას მოელოდნენ, სურათი შეიცვალა. თბილისელებმა რატომღაც მოუკლეს ტემპს, მოადუნეს ყურადღება. მცველებმა მოწინააღმდეგეს საშუალება მისცეს თავისუფალ ზონაში ემოქმედათ, თამაში წარემართათ თავისი სურვილის მიხედვით. გარდა ამისა, თავდასხმამ შეანელა იერიშები. დაიღალა ზაზროშვილი, ხშირად კარგავდა ბურთებს გაგნიძე, ხოლო ჭკუასელი აბსოლუტურად გამოერთო თამაშს და თითქმის არც ერთხელ არ უცდია ბრძოლაში ჩაბმა. თამაში "დინამოს" მარჯვენა ფრთაზე სრულიად ჩაქრა.

მიიღეს რა თავისუფალი თამაშის საშუალება, ბრაზილიელი ფეხბურთელები სრული ძალით ამოქმედდნენ. მალე მცველებმა უმეთვალყურეოდ დატოვეს დე–ანდრადე, რაც მან კარგად გამოიყენა და გაათანაბრა ანგარიში.

დარჩენილი დროის მანძილზე თბილისელებმა ვეღარ შეძლეს ძველი უპირატესობის აღდგენა. სტუმრები (განსაკუთრებით შავიერი, სოკოდატო, ფარია, გილერმე და–სილვა და სხვ.) თამაშობდნენ სრული ძალით, მასპინძლებს არ აძლევდნენ გაშლილი ფრონტით სწრაფი თამაშის საშუალებას. მსაჯის საფინალო სასტვენისათვის ანგარიში არ შეცვლილა – 2:2.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ თბილისის "დინამომ" ხელიდან გაუშვა გამარჯვების აშკარა შესაძლებლობა.

ბ. ქორქია.
24 ივნისი, 1956 წ.